



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030197204590421

№ 01-196/თ

04 / ივნისი / 2021 წ.

„ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობისათვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 8 აპრილის №01-134/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობისათვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 8 აპრილის №01-134/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

1. № 1.2 დანართის (საქართველოში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის მუშაობის ორგანიზება) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. კომიტეტი V - ბავშვთა შრომის აღმოფხვრის/პრევენციის ხელშეწყობის კომიტეტი უზრუნველყოფს:

ა) ეფექტური/ეფექტიანი რეფერირებისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავებას;

ბ) ბავშვთა შრომის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ზომების შემუშავებას;

გ) ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესაძლებლობების განხილვას და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას.“.

2. № 2 დანართის (ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობისათვის მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა):

ა) „8“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„8) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;“;

ბ) „8“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „8¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8¹) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე